ცნობის ფურცელი

№ 1985 პარასკევი, 15 ნოემბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1985

ფასი გაზეთისა: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

1903 წლის განმავლობაში ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის-ფურცელი“

სურათებიანის დამატებით

სურათებიანი დამატება გამოვა ყოველ ხუთშაბათობით და კვირაობით.

გაზეთი სურათებიანი დამატებით წელიწადში ღირს 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., 3 თვით 2 მან., 1 თვით 75 კაპ.—საზღვარ-გარეთ 8 მან.

ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან თვის პირველამდის.

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე“

წელიწადში ღირს 10 მ., ქალაქ გარეთ გაგზავნით 11 მ.—საზღვარ-გარეთ 13 მან.

ვინც „მოამბეს“ მთელის წლით გამოიწერს, იმას „ცნობის ფურცელი“ სურათებიანის დამატებით უფასოდ გაეგზავნება.

ხელის მომწერთ ვსთხოვთ, გამოწერის დროს რაც შეიძლება ძლიერ **გარკვევით** მოიწერონ **გვარი, სახელი, მამის სახელი და ქალაქის სახელი**, ამასთანავე გარკვევით დასწერონ, რომელი გამოცემა ჰსურთ, „ცნობის ფურცელი“-„მოამბე“ თუ მარტო „ცნობის ფურცელი“.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

ფასი გაზეთისა მთელის წლით არის თუმანი**.** ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისათვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზია (იგივე ქარვასლა). **ქუთაისში:**—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან. **ბათუმში:** ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების საგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში. **ზაქათალაში:** ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ). **შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან. **განჯაში:**—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ). **გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

პირველ ნოემბერიდან წლის დამლევამდე
„ივერია“
ჰღირს 2 მანეთად და 75 კაპეიკად

საფოსტო ადრესი: Тифлисъ редакція „Иверія“ (5—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო

ბუდიგანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ძამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფობისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

დ. ა. ბუდიგანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 კვირაობით 10—11.

ა. ზ. ბარხუძოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ზრ. მ. ხობოლევსკი—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.) მასაჟი და სამკურნ. გიმნასტიკა“ ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და ცარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სიგანაშვილისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასწყისში). ტელეფონი № 274. (წლ.)

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ფარნაძისა. (წ).

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავადმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642.

ქართველ თავად-აზნაურთა თეატრი
(ტელეფონი № 617)
დღეს, პარასკევს, 15 ნოემბერს,
უკანასკნელი გამოსათხოვარი წარმოდგენა
ხარკოვის საოპერო დასის მიერ
ბატონ **ბონაჩიჩის** მონაწილეობით
ხორის და ორკესტრის გაძლიერებით
წარმოდგენილი იქნება

ტრავიატა

ოპერა 4 მოქმ. მუსიკა ვერდისა.

ალფრედის როლს შეასრულებს ბ. პ. ბონაჩიჩი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ვან-დერ-ბრანდტი, ბაუერ, სკორუპსკისა; ბ-ნნი ბონაჩიჩი, პოლუიანოვი, პეტროვი, პეცოვი, სვობოდინი, კაზიმირო და სხვანი. **კაპელ-მეისტერები** ლ. პ. შტეინბერგი და ბუკშა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მთავარი რეჟისორი **ივ. ფითოევი.**

(ნ. 0—42)

ამაოდ ლაპარაკი ქალების სკოლაზე

—

დიდი ხანია ჩვენს გაზეთებში ლაპარაკობენ, ქალების სკოლა გვეჭირვება, კაი დედების გამოსაზრდელიო.

ვინ არის ამის წინაამდეგი? განა ყველა არა ჩივის, რომ ქართველ საზოგადოებას კარგი მეოჯახე დედები არა ჰყავს, კარგის შვილების აღმზრდელი, განვითარებულის გონებისა, კარგის სწავლით და სათნოებით შეიარაღებული? ვინ არის ამისი წინაამდეგი, რომ ქართველ დაძაბუნებულ, დაცემულ საზოგადოებას ქალების სკოლა ეჭირვება?

წინაამდეგია მხოლოდ საზოგადოების უმეცრება, გულ-გრილობა და სილატაკე, სილატაკე გონებრივი და ქონებრივი.

ქალების სკოლა საჭიროა, ამაზე ლაპარაკი დღევანდლამდე წყლის ნაყვასა ჰგავს. არავინ იმის მეტს არას ამბობს, რომ ქალების სკოლა გვინდაო და იმას კი არ არკვევენ, როგორი სკოლა უნდა დაგვიფუძნდეს, როგორის პროგრამმით, როგორის ტიპისა, როგორის სივრცით, მოწყობით და ბოლოს რა საშუალებით.

აი ამაებს რომ დავაკვირდეთ, გამოჩნდება სიფუყე ყოველგვარ ლაპარაკისა, აჩემება ერთის ბუნდის აზრისა. მარტო ამ ერთად ერთის აზრის ცოხნა ათის და თხუთმეტის წლის განმავლობაში გვიმტკიცებს რა გამოურკვეველი, უცაბედი, მოუფიქრებელი და მოუსაზრებელის მომზადებით ვიწყებთ საქმესა!

თუ ამ ლაპარაკში რამე არის საჩენი, ეს გახლავთ სკოლისათვის ფულის შეკრება, ესე იგი თანხის, ფონდის შედგენა სკოლის შესანახად. ამ ათ-თხუთმეტ წელს თხუთმეტ ათას მანეთზე მეტის შეკრება ვერ მოახერხა ჩვენმა საზოგადოებამ, ესე იგი წელიწადში ათასი მანეთი. მთელს საქართველოში, მრთელის ქართველ საზოგადოების ქალებმა ეს ციცქნა თანხა შეაგროვეს. აი კიდევ დამტკიცება იმისი, რა უენერგიო, ლარიბი სულით და ქონებით, რა ლატაკი საზოგადოებაა.

მაგრამ ამ საზოგადოებაში ხედავენ, რომ ვაჟების სკოლა გიმნაზიად შეიქნა. ამ მაგალითის მიხედვით ქალების სკოლაც უნდათ გამართონ. ფიქრობენ, რაკი სკოლა გაიმართება, ფულიც მოვაო.

ეს აზრი ყოველს საფუძველს არის მოკლებული.

ჯერ სულ თავი და თავი საფიქრებელია ვაჟების სკოლის გამაგრება. მასა აქვს ერთად ერთი სახსარი, სათავად-აზნაურო ბანკის მოგების ნაწილი. ეს შემოსავალი მკვიდრი არ არის, ერთ წელს რომ ბევრი აქვს მოგება, მეორე წელს ნაკლები. საზოგადო დაწესებულება, მეტადრე სასწავლებელი თავის დღეში ამისთანა საპო-არაოს იმედით ვერ არის მკვიდრ ნიადაგზე დამყარებული. ყოველ სასწავლებელს მკვიდრი, შეურყეველი, ყოველის ფათერაკისაგან აცილებული შემოსავალი უნდა ჰქონდეს. ვაჟების სკოლას ესეთი თანხა არა აქვს და იმისი ყოფნა-არ ყოფნა ბანკის მოგებაზეა დამყარებული.

კარგად უნდა ჩავიბეჭდოთ გონებაში, სათავად-აზნაურო სკოლას არა აქვს შეურყეველი, ხელ-უხლებელი წყარო თავის არსებობისათვის.

საზოგადოდ ბანკის მუშაობა ყოველთვის ერთ დონეზე არა დგას. თუმცა ჩვენი სათავად-აზნაურო ბანკი დამყარებულია უძრავ ქონებაზე, ყველა ბანკებზე უფრო მაგარ საფუძველზეა დაფუძნებული, მაგრამ უეცარ საერთო რამე კრიზისის დროს შეიძლება შეირყეს მისი შემოსავალი და მოგება. ამაზე მეტს ვიტყვით. როგორც ბანკის დამფუძნებელთ ტფილისის და ქუთაისის ბანკის ახალმა კანონმა მონაწილეობა ჩამოართვა და მისი უფლება თავად-აზნაურობას გადასცა, შესაძლებელია მომავალში თავად-აზნაურობასაც ჩამოართვას და მხოლოდ მსესხებელთ გადაეცეს, რადგანაც ურთიერთობის პასუხისგება მათ ეკუთვნის. ამაზე ხომ ეს ლაპარაკი ადრეულად ეგონება ვისმე, მაგრამ საქმის სიმკვიდრე მოითხოვს ადრეულადვე შორსმხედველობა ვიქონიოთ.—ასე მსურსო, ასე მგონიაო, ასე მინდაო, ეს ქარაფშუტობის ბეჭედია და არა საშვილიშვილო საქმის მკვიდრად დაყენება. ბევრი ყოფილა ლაპარაკი, ყოფილა სკოლის დაარსებიდამვე „მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოება“-ში ამ საგანზე, მაგრამ ყოველთვის დარჩენილა ხმად ღაღადებისად. მაგრამ არ შეიძლება კვლავ არ გავიხსენოთ და არ დავაკვირდეთ ამ აზრს, რომ სათავად-აზნაურო სკოლას საკუთარი უკვდავი შემოსავალი არა აქვს და სანამ დროა და ბანკი ეხლანდელის წესდებით მუშაობს, სკოლას უკვდავი ფონდი გაუჩნდეს.

რაღა შორს მივდივართ, მკვიდრ სკოლას ხომ შენობა ეჭირვება. ოცმა წელიწადმა გაიარა და დღემდის ამაზე არაფერი მეცადინეობა არ ყოფილა. მხოლოდ ამ ორიოდ წელს ძლივს შეუდგა საკუთარის შენობის აგებას დამხმარე საზოგადოების კომიტეტი. ახლა ამის წინაამდეგი ზოგ-ზოგი ვაჟ-ბატონები სისინებენ, საზოგადოებაში მითქმა-მოთქმას ჰმართავენ და ოპოზიციების შედგენას ცდილობენ. ოპოზიციას უწევენ ვაჟების სკოლას, დამხმარებელ საზოგადოებას, წერა-კითხვის საზოგადოებას, დრამატიულ საზოგადოებას; ეს ვაჟ-ბატონები გუბერნიის თავად-აზნაურობის კრებაზედაც კი გამოდიან და ყოველ შეუფერებელს ლაპარაკობენ, რომ გასანაწილებელი მოგება ბანკისა ყველა მოხსენებულ დაწესებულებათ მოაკლონ, გაუძნელონ და გაუჭირონ. იმას, რაც თვით-მოქმედების დონით და საშუალებით დაფუძნებულა, ეს ვაჟბატონები ზურგს უჩვენებენ და მტრობას უწევენ.

ამოდენ ჩვენ დაქცეულს ქვეყანაში თითქოს ცოტა რამ იყოს გასაკეთებელი, რომ თითონაც რისამე გაკეთება შეიძლონ ზურგის შებრუნების ნაცვლად. სისინებენ აქა-იქ საზოგადოებაში, რომ ყოველ თვით-მოქმედების ნამუშავარზე გულიააყრევინონ და ეხლანდელი გულ-გრილობა უმეტესად გაადიდონ.

ამისთანა დროს იწყება ქალების სკოლაზე ლაპარაკი. სრულებით ამაში ქალთა კომიტეტს ბრალი არა აქვს. მას პატივისცემის მეტი ჩვენგან არაფერი ეთქმის. მაგრამ რა სახსრით გაიმართოს, როგორი სკოლა, რა პროგრამით, ამაზე დაფიქრებაა საჭირო. არაფერი სახსარი არ მოეპოვებათ და თხუთმეტი ათას მანეთით ქალების სკოლა უნდა დააარსონ? ეს სულ ქვიშაზე აშენებული სახლია და ძალიან სამწუხარო იქნება, თუ ქალთა

კომიტეტს ამ თანხით დაწყებული საქმე საიმედოდ ეგონება.

სანამ სათავად-აზნაურო სკოლა მკვიდრის თანხით არ იქმნება დაყენებული, თვით ამ სკოლის არსებობა მკვიდრი არ არის. ჩვენს საზოგადოებას საზრუნველად ჯერ ესეც ეყოფა. როდესაც ერთის სკოლის ყოფნა მკვიდრი არ არის, იმავე დროს მეორის უფრო საეჭვო ყოფნა უგუნურება იქმნება. არავის არ შეუძლია ერთის ხელით ორის საზამთროს დაჭერა, როდესაც ვიცით, რომ ერთის ღარიბის ხელის მეტი არა გვაქვს.

გასაოცარია „დამხმარებელ საზოგადოების" კომიტეტის მოუსაზრებლობა. ამბობენ, ქალების კომიტეტს კიდეც შეუდგენინებია სკოლის პროგრამმაო. ამ პროგრამმით, თუ დაამტკიცა მთავრობამ, მოსამზადებელი კლასსები დაარსდება პანსიონით და წლიურის ხარჯით 20,000 მანეთამდე.

კეთილი განზრახვის და შრომისათვის პატივისცემის მეტი რა ითქმის, მაგრამ სურვილი სხვაა და ასრულება სხვა. სურვილზე თუ მიდგა საქმე, ჩვენ მოსამზადებელ კლასსებს კი არ დავჯერდებით, არც საშუალო სკოლის გახსნასა; ჩვენ მოვისურვებთ მაღალ სასწავლებელის დაარსებას, ქალებისას და მერე ვაჟებისას და იმისთანისას, როგორი საფუძველიც ევროპიელების უკანასკნელ პედაგოგიურს მოსაზრებას დაუდგენია. ჩვენ მაღალ სასწავლებელსაც არ დავჯერდებით და აკადემიებსაც მოვისურვებთ... ჩვენი ჭეშმარიტი სურვილი იქამდისაც გაუწვდება.

მაგრამ მაგარი ის არის სურვილთან ხელიც მიგვიწვდება თუ არა?

აბა რა არის მოსამზადებელი კლასსები? მოსამზადებელი რაგვარის სწავლისათვის? ნუ თუ ვაჟების სკოლის მოსამზადებელ კლასსების დაფუძნებამ არ დაგვიმტკიცა, რომ მის შემდეგი კლასსებია საჭირო. მოსამზადებელი კლასსები და ისიც ქალების სკოლისა დიდ საყვედურს და ყაყანს გამოიწვევს, როდესაც სახელმწიფო სკოლაში მათი გადაყვანა ძნელი შეიქნება. ადგილი არ იქნება მოსწავლეთა სიმრავლისაგან. რას ეტყვით მშობლებს, რომელნიც უამისოდაც ყაყანებენ პირველ დასაწყისს ქალების სასწავლებელზე და იძახიან: მათუშკებს გვიზრდიან და არა ნასწავლ გამოზრდილ საოჯახო დედებსაო. ნეტავი გესმისთ, თუ ტფილისში რას ნიშნავს ეს სიტყვა? ამ სიტყვასთან შეერთებულია ყოველგვარი ცინიზმით მორთული ცნება. განა ეს იმედი იყო ქართველ საოჯახო დედების აღზრდისა?

არა, სჯობს, რაც დაწყებულია (ვაჟების სკოლის საქე), მტკიცე ნიადაგზე გამაგრდეს და შემდეგ მეორე საქმე აგრევე მკვიდრად დაფუძნდეს.

განა შესაძლებელია ერთი საქმე არ დამთავრებულიყოს და მეორეს ხელი მოჰკიდოთ, როდესა კარგად იცით, რომ ამისი ღონე, სახსარი, შეძლება არა გაქვთ. ეს ხომ პირდაპირ განზრახულის საქმის გაკეთება კი არ იქნება, იმ კეთილის და პატიოსანის საქმის ძირის გამოთხრა და პროფანაცია იქნება.

არა, სკოლის, განათლების საქმეს ეს არ ეკადრება. იგი მართლა უნდა გაბრწყინვებული იყოს მშვენიერის შარავანდედით, ღირსეულის პატივისცემით, რომელმაც მნათობსავით უნდა გაანათლოს და წაუძღვეს ხალხს გულისა და გონების აღსაზრდელად. კარგის საქმის სათავე მკვიდრი უნდა იყოს, რომ არ ჩაშალოს ჭეშმარიტი პატივსაცემი განზრახვა. ფუქსავატად დაწყებული საქმე მტრობაა იმ საქმისა, რომელიც სანატრელია ქართველ დედების აღზრდისათვის.

პეტრე უმიკაშვილი.

ორიოდე სიტყვა ბ. უმიკაშვილის წერილის გამო.

ქართველ ქალთა სკოლის დაარსების საქმე იმდენად დიდმნიშვნელოვანი და მძიმე საქმეა, რომ საჭიროდ მიგვაჩნია კარგად აიწონდაიწონოს და ყოველმხრით იყოს გამორკვეული. ამიტომაც დავუთმეთ ადგილი ბ. პ. უმიკაშვილის საყურადღებო წერილს, თუმცა არ ვეთანხმებით პატივცემულს ავტორს.

სკოლის საჭიროებაზე ლაპარაკი მეტია: სამართლიანად ამბობს ბ. უმიკაშვილი, რომ ამის წინააღმდეგი არავინ არ უნდა იყოს! მაშ, გადასაწყვეტი საკითხი ერთია მხოლოდ: არის თუ არა სახსარი ახლავ გაიხსნას სკოლა? ბ. უმიკაშვილი ამტკიცებს—არაო: ჯერ ვაჟთა სკოლის არსებობაც არ არის უზრუნველყოფილიო, ჯერ ამ სკოლას უნდა გავუმაგროთ ზურგი და მხოლოდ შემდეგ შევუდგეთ ქალთა სკოლის დაარსებასაო.

ჩვენ გვგონია, რომ პატივცემული ავტორი ძლიერ აზვიადებს საქმის სიძნელეს. დღესდღეობით არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ სათავად-აზნაურო ბანკის მდგომარეობა ერთბაშად და ძირეულად შეირყეს. იგი ამ ჟამად მკვიდრ ნიადაგზე სდგას და ხელში მეტად მკვიდრი და შეურყეველი საქმე აქვს. მისი მოგება შეიძლება რომელსამე წელს შემცირდეს სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო, მაგრამ შემდეგ წლებში საქმე ისევ ჩადგება ნორმალურს რიგში და თავად-აზნაურობას ისევ ექნება კარგი ნაწილი მოგებისა. გარდა ამისა თავად-აზნაურობას შემოსავალი აქვს ქარვასლიდან და მოკლე ხანში ეს შემოსავალი კიდევ იმატებს, რადგან მამული ვალისაგან თავისუფლდება. თვით სასკოლო კომიტეტსაც აქვს შემოსავალი თავის მამულებისაგან ქალაქში. ყველა ამ შემოსავლიდან ყოველწლივ სდგება საკმაო თანხა, რომელიც, დღევანდელ პირობების მიხედვით, შემდეგში თუ არ გაიზრდება, არ მოიკლებს მაინც.

ჩვენ არ ვამბობთ, რომ ეს წყაროები დაუშრეტელი იყოს, მაგრამ არც ბ. უმიკაშვილს აქვს ნება ამტკიცოს, ვითომც ბანკისა და მამულების შემოსავალი სრულიად მკვიდრი არ არის და მათზე რაიმე საქმის დაფუძნება „ქარაფშუტობა" იყოს. ჯერ-ჯერობით მკვიდრი წყაროები გვაქვს და შეგვიძლია ვისარგებლოთ, რაც სრულიად არ ნიშნავს იმას, ვითომც შემდეგ აღარ შეგვეძლება უფრო მკვიდრ საშუალების გამოძებნაზე ვიფიქროთ და ვიზრუნოთ.

ჩვენ გვგონია, რომ დღეს დღეობით შეიძლება შევუდგეთ ქალთა სკოლის დაარსების საქმეს. პირველად დაარსდება მოსამზადებელი კლასები და შემდეგ მიემატება პროგიმნაზიული. ამას არც იმდენი თანხა დასჭირდება, რამდენიც ბ. პ. უმიკაშვილს ჰგონია. წელს მასწავლებელ ქალთა ტფილისის საზოგადოებამ გახსნა მოსამზადებელი კლასები და შემდეგ პროგიმნაზიულსაც უმატებს. ამ საზოგადოებას, უკედ ვსთქვათ მის პატარა ჯგუფს, სულაც არა ჰქონია თანხა, მაგრამ არ შეჰშინებია საქმის დაწყებისა და, მართლაც, აღმოჩნდა, რომ არც დიდი ფულია საჭირო, ხოლო ენერგია და თავიანობა მცირე თანხითაც შესძლებენ საქმის მკვიდრად დაყენებას.

ქალთა განათლების საქმის აუცილებელი საჭიროება ჩვენმა დედ-მამებმაც შეიგნეს; ქართველ საზოგადოებას დღეს ეს საქმე მოთხოვნილებად გადაექცა და ამიტომ თვით მშობლებიც მიიღებენ თავის თავზე ცოტაოდენ მსხვერპლს და მცირე სასწავლო ფულის გადახდით პირველ ხანებში მაინც დაეხმარებიან ახალს სკოლას...

ამ რიგად, საერთო ძალითა და შეწევნით შეიძლება საქმე დღესვე დაიწყოს. ბ. პ. უმიკაშვილის რჩევა თუ მივიღეთ, მაშინ შესაძლებელია ვერასოდეს ვერ ვეღირსოთ ქალთა სკოლას. მართლაც: რას ჰნიშნავს ეს „ვაჟთა სკოლის მკვიდრად დაყენება?" ვინ უნდა გვიჩვენოს ის საზღვარი, რომლის შემდეგ შეგვიძლია ვსთქვათ — ვაჟთა სკოლა სრულიად უზრუნველყოფილიაო? ვინ იცის, რა და რა ახალი მოთხოვნილება გაუჩნდება მომავალში ვაჟთა სკოლას, რომლის დასაკმაყოფილებლად კიდევ ახალი წყაროები იქნება საჭირო?!.

ჩვენის აზრით, ვიმეორებთ, დღევანდელი პირობები ნებას იძლევიან ქალთა სკოლის დაარსებას შევუდგეთ; ამით ხელი არ შეეშლება ვაჟთა სკოლას; ხოლო რადგან ქართველობას ქალთა განათლება მოთხოვნილებად გადაექცა, შიში არ უნდა გვქონდეს, ვითომ შორს მომავალში სკოლის შესანახი საშუალება არ მოიძებნოს...

ყოველ შემთხვევაში, პატივცემულ ავტორის გაფრთხილება მეტი არ არის: საქმე უფრო გამოირკვევა და უფრო მკვიდრად დადგება. შეიძლება ჩვენი აზრი ცოტათი ოპტიმისტურიც იყოს, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ბ. პეტრე უმიკაშვილის აზრი მეტის-მეტად პესსიმისტურია.

საზღვარ-გარედ

ინგლისი. სამხედრო მინისტრმა ბროდრიკმა კონსერვატორების კრებაზე დიუსბერიაში დიდი სიტყვა წარმოსთქვა. მინისტრი უმთავრესად იმას ეცადა, რომ მთავრობის პოლიტიკა გაემართლებინა. პირველად ჯარის რეორგანიზაციას შეეხო და გამოაცხადა, ეს საქმე კარგად მიდისო. ჯარში საკმაოდ ბევრი ვოლონტიორი შედისო. ინგლისს არ გაუჭირდება იმოდენავე ჯარი გაიჩინოს, რამოდენაც კონტინენტალურ სახელმწიფოებს ჰყავთო, მაგრამ ამისათვის სავალდებულო სამხედრო სამსახურის დაწესება იქნება საჭირო. ინგლისის მთავრობა კი თავის მოვალეობად სთვლის, ისე მოაწყოს საქმე, რომ ჯარიც შესაფერისად გააძლიეროს და ამავე დროს ისეთ საშინელ ღონისძიებასაც არ მიჰმართოს, როგორიც სავალდებულო სამხედრო სამსახურია. მთავრობას ჰსურს 100 ათასი ჯარის-კაცი ხელთ იყოლიოს; ეს ჯარის-კაცები ყოველთვის მზად უნდა იყვნენ, როცა კი საჭირო იქნება საზღვარ გარედ იმსახურონ. ამაზე მეტს კი მთავრობა არასა ნდომობსო.

ამის შემდეგ ორატორმა იმის თაობაზე ილაპარაკა, თუ რა საშუალებით უნდა აღადგინონ ბურების კოლონიების კეთილ-დღეობა. მინისტრმა გამოაცხადა: ტყვეობიდან დაბრუნებულ ბურების გადმოსაყვანად 36 ათასი ცხენი და ხარი დაიქირავა მთავრობამო. ამას გარდა ბურებს 900 ათას სულ მსხვილ-ფეხ საქონელსა, ცხენსა და ცხვარს დაურიგებენ საქონლის გასაშენებლადაო. მერე მინისტრმა საკონცენტრაციო ბანაკებზე (სადაც ბურების ქალები და ბავშვები იყვნენ შეკრებილნი) ილაპარაკა. ბროდრიკმა, სხვათა შორის, სთქვა: ომის დროს ინგლისელებისაგან დაწესებულ სკოლებში 52,500 ბურების ბავშვი სწავლობდა, როდესაც ომის წინად ბურების სკოლებში მარტო 24 ათასი ბავშვი სწავლობდაო.

◆ მთავრობის ხერხმა—კამათის ძალდატანებითმა აკრძალვამ—გააადვილა სასკოლო ბილის განხილვა. ჰფიქრობენ, დეპუტატთა პალატა კამათს ამ ბილის თაობაზე 15 ნოემბერს შემდეგ დაასრულებსო; 20 ნოემბერს კიდევ ლორდთა პალატა შეუდგება ამ ბილის განხილვას და 6 დეკემბერს, როგორც ამბობენ, პარლამენტის სესია დაიხურებაო.

საფრანგეთი. გუშინაც გვქონდა მოხსენებული, იუსტიციის მინისტრმა ემბერების საქმე ჩამოართვა გამომძიებელს ლე მერსიესაო. მინისტრს სულაც თანამდებობიდან გადუყენებია ლე მერსიე. გაზ. „პტი პარიზიან"-ი ასეთ ცნობებს იძლევა ამ საქმეზე.

გამომძიებელს ლე მერსიეს მინდობილი ჰქონდა ემბერები ეპოვა, მაგრამ ლე მერსიემ ისე უხერხულად წაიყვანა საქმე, რომ ვიღაც კერძო კაცები სულ ბურთივით ათამაშებდნენ. ლე მერსიეს გამოძიების დროს ერთი კერძო ბიურო ეხმარებოდა; გამომძიებელს ისიც კი ვერ გაეგო, რომ ეს ბიურო ემბერებისაგან ყოფილი დაქირავებული და სულ ემბერებისათვის სასარგებლო ცნობებს აძლევდა ლე მერსიეს. ეს ამბავი საიდუმლო პოლიციის უფროსს კოშეფერს სცოდნოდა, მაგრამ მაინც არ შეეტყობინებინა ლე მერსიესათვის, რომ იმას ხსენებულ ბიუროს აგენტები განგებ თვალებს უხვევდნენ: სულ უდანაშაულო პირებზე უთითებდნენ და არწმუნებდნენ გამომძიებელს, სწორედ ესენი არიან ემბერების მეგობრები და თანამოზიარენიო. ლე მერსიეც ყველაფერს უჯერებდა და ამათ სიტყვის თანახმად ჩხრეკდა ნაჩვენებ პირებს, წერილებს ჰხსნიდა და სხვ. ყველა ამ ღონისძიებას, რასაკვირველია, არაფერი ნაყოფი არ მოჰქონდა; მხოლოდ უსამართლოდა და უსაბუთოდ გაჩხრეკილი პირები აალაპარაკა და აახმაურა. „პტი პარიზიან"-ი ამბობს: ემბერები ბორდოში დაიმალნენ, მერე იქიდან ესპანიაში გაიქცნენ და დღესაც იქ იმყოფებიანო; ალბად, სადმე მონასტერში იმალებიანო. ემბერებმა ორ მილიონ ფრანკზე მეტი ნაღდი ფული წაიღეს თანაო.

◆ გაზეთები იუწყებიან: საიდუმლო პოლიციის უფროსმა კოშეფერმა პოლიციის პრეფექტს არზა წარუდგინა, სამსახურიდან დამითხოვეთო. ამბობენ, პრეფექტიც აუსრულებს ამ თხოვნასაო. კოშეფერს, ალბად, პოლიციის უფროს კონტროლერის ადგილს მისცემენ; ადრე თითონაც ცდილობდა ამ ადგილის მიღებასაო.

◆ ნაციონალისტმა დეპუტატმა როშმა გამოაცხადა, ამნაირ წინადადებას შევიტან პალატაშიო: ყველა მთა-მადნის მრეწველთ ამხანაგობები მოვალენი არიან თავიანთ მუშებს წილი დაუდონ მოგებაში; თუ რომელიმე ამხანაგობა ამ მოვალეობას არ აასრულებს, მადანი სახელმწიფოდ ჩამოერთმევა. რესპუბლიკელთ წრეები ჰფიქრობენ, როშს ეს წინადადება მარტო იმის გულისათვის შეაქვს, რომ სოციალისტები მთავრობას გადაჰკიდოსო.

◆ გაზეთებს შეუტყვიათ: მთავრობამ გადასწყვიტა, პარლამენტს ლოთობის წინააღმდეგ კანონ-პროექტი წარუდგინოსო. პირველ-მინისტრმა კომბმა სთხოვა სამკურნალო აკადემიას, სრული სია შეადგინეთ ყველა იმ ჯანმრთელობისათვის მავნებელ ესენციებისა, რომლებსაც მაგარ სასმელების მოსამზადებლად ხმარობენო. სიის შედგენა აკადემიამ პროფესორს ლაბორდას მიანდო.

ავსტრო-უნგრეთი. ავსტრიის პარლამენტის წრეებში ხმა დადის, პარტიებს მოლაპარაკება აქვთ გამართული ᲢᲐ ახლო მომავალში შეიძლება ახალი სამინისტრო შესდგეს სხვა-და-სხვა პარტიის წარმომადგენელთაგანაო. თვით მომავალ მინისტრებსაც კი ასახელებენ. სამინისტროში შევლენ პოლონელები, ჩეხები და თავისუფალ მოაზრე გერმანელთა ჯგუფების წარმომადგენლები. გერმანელთ სახალხო პარტიამ გამოაცხადა: მხოლოდ იმ პირობით მივიღებთ სამინისტროში მონაწილეობას, რომ ანტისემიტები და კლერიკალები არ გარიონ საქმეშიო. თავდაპირველად მოილაპარაკებენ: ახალ სამინისტროს მეთაურად კერბერი იქნება, თუ ახალი კაბინეტი უიმისოდ შესდგებაო. შეერთებულ პარტიებს არც თუ ძალიანა ჰსურთ ეხლანდელ პირველ მინისტრის გარევა ახალ კაბინეტში, მაგრამ იმპერატორს სწადიან, რომ ახალ სამინისტროს მეთაურად ისევ კერბერი იყოსო.

◆ ოპოზიცია და ლიბერალების ერთი ჯგუფი ძლიერ ეწინააღმდეგებიან სამხედრო კანონ-პროექტს; ამიტომ მთავრობა მზადაა, ოპოზიციის დასაკმაყოფილებლად უფრო მეტიც დასთმოს ამ საქმეში. სეპარლამენტო კომისიაში, რომელსაც ამ კანონ-პროექტის განხილვა აქვს მინდობილი, სამხედრო მინისტრი ფეიერვარი ბეჯითად იცავდა პროექტს და ბოლოს სთქვა: ოპოზიცია და საზოგადოება თხოულობს, სამხედრო სამსახურის ვადად ორი წელიწადი დაიდოსო, მეც სრულებითაც არა ვარ ამ რეფორმის წინააღმდეგიო. პოლიტიკურ წრეებში ჰფიქრობენ, თუ მთავრობა მართლა ორის წლის სამხედრო სამსახურს დააწესებს, ოპოზიციაც დაკმაყოფილდება ამ რეფორმითაო.

შეერთებული შტატები. პრეზიდენტ რუზველტმა რომ პენსილვანიის მადნის პატრონებისა და ქვა-ნახშირის მუშების დავის გადასაწყვეტად სამედიატორო კომისია დანიშნა, 1 ნოემბერს სკრანტონში მოწმების გამოკითხვას შესდგომია. ამბობენ, მოწმების გამოკითხვას ორ კვირას მოუნდება კომისიაო. მადნის პატრონებისა, ტრედ-უნიონისტებისა და იმ მუშების ინტერესებს, რომლებიც ტრედ-უნიონის წევრებად არ არიან,—ერთის სიტყვით, ყველას ინტერესებს იურისტები იცავენ კომისიაში. ქვა-ნახშირის მუშების ფედერაციის პრეზიდენტმა მიჩელმა წარსულ პარასკევს კომისიას დაწვრილებით დასაბუთებული მოხსენება წარმოუდგინა მუშების მოთხოვნილების თაობაზე. მიჩელი თხოულობს ამ მოხსენებაში, კომისიამ მუშების ფედერატიული კავშირი კანონიერ დაწესებულებად იცნოსო. მუშების მეთაური ამტკიცებს, ქვა-ნახშირის მადნებში ყველა მუშების 90% ტრედ-უნიონის წევრები არიანო.

◆ „რეიტერის სააგენტოს" ამნაირი დეპეშა მოჰსვლია ნიუ-იორკიდან: პენსილვანიის რკინის გზის ამხანაგობამ საკუთარის თაოსნობით გადასწყვიტა, მოსამსახურეებს ჯამაგირები მოუმატოს: ზოგს 10%, ზოგს კიდევ 20%. ჯამაგირი ასი ათას კაცს მოემატება.

ახალი ამბავი

✦ გუშინ, 14 ნოემბერს, **დედოფალ იმპერატრიცას მარიამ თეოდორეს ასულის დაბადების დღეს**, სიონის ტაძარში საქართველოს ეგზარხოსის მიერ გადახდილ იქმნა წირვა და პარაკლისი. დაესწრნენ მთავარ-მართებლის თანაშემწე, გენერლობა, თავად-აზნაურთა წინამძღოლი, ქალაქის მოურავი და სხვანი. დილით ქალაქი ბაირაღებით იყო მორთული, ხოლო საღამოთი—გაჩირაღდნებული.

✦ 13 ნოემბერს ამიერ-კავკასიის **რკინის გზის უფროსი** ბ-ნი ივანოვსკი ასხაბადს წავიდა. უფროსის თანამდებობის ასრულება დაევალა მის თანაშემწეს ბ-ნ შაიკევიჩს.

✦ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, გუბერნატორის შემწეობით „ჰელიოს“-ის საზოგადოების პროექტი **ქალაქის ელექტრონით განათების** შინაგან საქმეთა სამინისტროს წარედგინოს. „ჰელიოს“-ის წარმომადგენელს-კი გამგეობამ ნოტარიუსის საშუალებით უნდა შეატყობინოს, რომ გამგეობამ მხოლოდ ტეხნიური ნაწილი დაამტკიცა წარმოდგენილის პროექტისა და სთხოვს „საზოგადოებას“ წარმოადგინოს ხარჯთ-აღრიცხვის დაწვრილებითი ცნობები, განსაკუთრებით-კი იმ ხარჯებისა, რომელიც დამატებით იყო ნაანგარიშევი „საზოგადოების“ მიერ 20 თუმანზე მეტი. ამასთანავე ისიც აცნობა გამგეობამ „ჰელიოს“-ის წარმომადგენელს, რომ ამ დამატებით სამუშაოს ასრულებას ქალაქი იმას ჩააბარებს, რომელიც უფრო ხელ·მისაწვდომ ფასად აიღებს ამ სამუშაოს და რომელსაც თვითონ ქალაქი აირჩევს.

✦ ქალაქის გამგეობას საჭიროდ დაუნახავს, რომ **პურის საცხობი და ვაჭრობაც გაემართოს ქალაქმა**. ბ-ნ კანდაროვის პურის საცხობისა და ადგილების შეძენის შესახებ გამგეობას დაუდგენია, ჯერ ცნობები შეიკრიბოს ამ საცხობის მოქმედების შესახებ და მერე კომისიამ და გამგეობამ ერთად გაარჩიონ და ასწონ-დასწონონ ეს საქმე.

✦ **ახალი პოლიტეხნიკუმის** დაარსების შესახებ საკითხი საერო განათლების სამინისტროს გადაეცა განსახილველადაო — დეპეშით ატყობინებენ „ნოვ. ობოზრ.“-ეს.

✦ ჯერ კიდევ შარშან დაადგინა ქალაქის საბჭომ, რომ დედათა 1-ლ გიმნაზიის წინ, გოლოვინსკი პროსპექტზე, ძეგლი **აიგოს დიდის მთავრინას ოლგა თეოდორეს ასულისა**. გამგეობა ამ მოკლე ხანში წარუდგენს საბჭოს ამის შესახებ მოხსენებას და სთხოვს საჭირო ფულიც გადასდოს ძეგლის ასაგებად.

✦ დიდად **თავხედური ქურდობა ჩაიდინეს** გუშინღამ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში. საზოგადოების მდივნის ოთახში ზანდუკი იდგა; ამ ზანდუკში დაცული იყო შარშანდელ გამოფენის ექსპონენტებისათვის დასარიგებლად მიღებული ოქრო-ვერცხლის მედლები, სულ 50 თუმნად ღირებული, და ფულად 80 თუმნამდე. ქურდებს ეს ზანდუკი გაუტანიათ. „საზოგადოების“ მოსამსახურე-დარაჯს პრაკოფიევს უთქვამს: მე ოთახებს ვალაგებდი. როცა ალაგება გავათავე და ჩემ ოთახში შეველი, საღამოს 6—7 საათზე მდივნის ოთახის ფანჯრის ბრახუნი შემომესმა; მიველ და ფანჯარა ღია დამხვდა, ერთი შუშა ამომტვრეული იყო და ზანდუკი აღარსად სჩანდაო.

ეჭვი აქვთ, წინად განზრახულებით მოუწყვიათ საქმე და ისე ჩაუდენიათ ეს ქურდობა. დარაჯი პოლიციამ დააპატიმრა.

✦ პეტერბურგიდან „ნოვ. ობოზრ.“-ეს დეპეშით ატყობინებენ, რომ **ტფილისის კადეტთა კორპუსის** დირექტორი გენერალ-მაიორი კიჩეევი სამსახურს დაეთხოვა და იმის ადგილას დონის კადეტთა კორპუსის ინსპექტორი პოლკოვნიკი სოიმონოვი დაინიშნაო.

✦ თავ. ბებუთოვმა, რომლის სახლში ქალაქის სააუქციონო იყო გამართული, ქაღალდით განაცხადა გამგეობაში, რომ ქალაქს ნება არა აქვს ჩემ სახლში სკოლა დააბინაოს, რადგან სააუქციონო საჭიროებისათვის მიმიქირავებია ჩემი სახლიო. გამგეობას განუხილავს თავ. ბებუთოვის განცხადება და უყურადღებოდ დაუტოვებია.

✦ ტფილისის მაზრაში გამომძიებლად უფროსი ბ-ნი მონინი ტფილისის სამოსამართლო პალატის სამართალს მისცა სენატმა, ოფიციალად მიწერილს ქაღალდში უკადრის სიტყვების ხმარებისათვის. საქმე ასე ყოფილა: ბ-ნ მონინს გრუზინსკი პოლკის რამდენიმე ოფიცერი მოწმად დაუბარებია (ეს პოლკი ადბულაღში დგას ბინად). პოლკის უფროსს, პოლკოვნიკს სულიმოვსკის მიუწერია გამომძიებლისათვის, რომ ოფიცრები ავად არიან და ვერ გამოცხადდებიანო. გამომძიებელი ქაღალდით შეეკითხება შტაბს: ექიმის წოდება აქვს თუ არა პოლკოვნიკს, ოფიცრების ავადმყოფობას რომ ამოწმებსო და მეორეც ისა—ადბულაღი ავადმყოფთა სამყოფ ადგილად ითვლება, თუ არაო. შტაბს ეს ქაღალდი გამომძიებლისა პალატის პროკურორისათვის გაუგზავნია, პალატას გამომძიებლისათვის პასუხი მოუთხოვნია და მთელი საქმე სენატისათვის წარუდგენია. სენატსაც დაუვალებია პალატისათვის, გამომძიებელი გაასამართლეთო.

ამ თვის 11-ს პალატის სესიას გაურჩევია ეს საქმე განჯაში და დაუდგენია: ოფიციალად მიწერილ ქაღალდში უკადრისის სიტყვების ხმარებისათვის მონინს საყვედური გამოეცხადოსო.

✦ 13 ნოემბერს, დილის 7 საათსა და 20 წუთს, როდესაც მატარებელი № 21 ტფილისის სადგურს მოახლოვდა, ნავთის ერთ ქვაბს ღერძი წაუხდა და ლიანდაგს გადასცდა. ამ ქვაბთან ერთად ლიანდაგს გადასცდა და გაფუჭდა ექვსი სხვა ქვაბი. უბედურება ხალხს არა შემთხვევია-რა.

✦ 12 ნოემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე, გიორგი კეკელიას, ვოგზლიდან ვორონცოვის ხიდისაკენ მიმავალს, დაუკარგავს პორტმანი, რომელშიაც ყოფილა ორი ხუთას მანეთიანი, ათი ათ-ათ თუმნიანი და ხუთას მანეთისაც თამასუქები.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი. 20 ნოემბრისთვის დანიშნულია მარგანეცის მრეწველთა საზოგადოების კრება ინჟენერის ცეიტლინის თავმჯდომარეობით.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ 11 ნოემბრისათვის დანიშნული ქალაქის საბჭოს კრება არ შესდგა, რადგან ხმოსნების საკმაო რიცხვი არ გამოცხადდა.

✦ ქუთაისის უძრავ-მამულების დამფასებელი კომისია მხნედ ჰმოქმედებს: ორი მესამედი მამულებისა უკვე შეუფასებია და იმედი აქვთ, მომავალ თვის შუა რიცხვებამდე სრულებით დაამთავროს ქალაქის ყველა მამულების შეფასება.

✦ ქალაქის საბჭოს დადგენილების თანახმად, გამგეობამ გააკეთებინა ერთს ბათომელ მხატვარს ქუთაისის ქალაქის მოურავად ნამყოფის აწ გარდაცვალებულის დ. ნ. ასათიანის დიდი სურათი გამგეობის შენობის დარბაზში დასაკიდებლად. სურათი შვენივრადაა დახატული ტილოზე, ფერადი საღებავებით, და ჩასმულია საგანგებოდ გამოწერილს ოქროთი მოვარაყებულ ძვირფას ჩარჩოში.

✦ თეთრის ხიდის გაკავებით ქალაქის მცხოვრებლები, ნამეტურ ხიდის მახლობლად მცხოვრებნი, ძლიერ შეწუხებულნი არიან და ყოველ დღე მიდიან გამგეობაში თხოვნით, როგორმე დაგვეხმარეთ და ხიდი მალე გაგვიხსენითო. ქალაქი ჰფიქრობდა ხიდი ფიცრის მაგივრად ერთგვარის რკინით მოეგო, მაგრამ, რადგანაც ამას დიდი დრო დასჭირდება და ზამთარში ხიდის გაკეთება შეუძლებელია, გამგეობა ისევ ძველებურად აპირებს ხიდის შეკეთებას.

✦ რეალურ სასწავლებლის შენება სწრაფად მიდის წინ: შენობა ამ ჟამად უკვე იხურება და ლამაზადაც გამოიყურება ორ ქუჩაში—ტფილისისა და ორდენბურგსკისა. შენობის ადმინისტრაციას დღიურ მუშებად ადგილობრივ საპატიმროდან 40-მდე პატიმარი მოუწვევია და ოსტატებს სხვა-და-სხვა მასალას აწვდიან.

✦ სამხედრო ბეგრის მოსახდელად გაწვეული ყმაწვილები დიდ უწესოებას ჩადიან: მთვრალები ქუჩა-ქუჩა დახეტიალებენ და ასე ჰგონიათ—თუ კანჯში გავედით, ჩვენთვის არც კანონია და არც მოვალეობაო. ამათ უწესოების შესახებ შედგენილ ოქმებით პოლიციის შკაფები ავსო.

პატარა დღიური

ჩვენის გაზეთების კორესპონდენტები ძალიან ემდურებიან პროვინციას. თითქმის ყველა კორესპონდენციაში შეჰხვდებით ამ გვარ სიტყვებს: ღრმადა სძინავს ჩვენ დაბას ან სოფელსაო. ჩემის აზრით, კორესპონდენტები უსამართლოდ აქცევიან და ცილსა სწამებენ დაბა-სოფლის მცხოვრებთ. მე კერძო კორესპონდენტები გავიჩინე და როგორც ისინი მატყობინებენ, ყველგან დაბა-სოფლებში „დაუცხრომელი მუშაობაა პროგრესისა და წინ-მსვლელობისათვის“. დიახ, დაბა-სოფლად დიდი ცვლილება ხდება და ამ ცვლილების მიზეზი ადგილობრივი „მოღვაწენი“ არიან. განსხვავება ის არის მხოლოდ, რომ ერთ ადგილას ერთი დარგი მოღვაწეობისა აურჩევიათ, ხოლო მეორე ადგილას—მეორე.

პირველის მაგალითისთვის აი თუნდა სოფელი აკეთი ავიღოთ. ამ სოფელს თავის სპეციალურ საქმედ ლატარია გაუხდია; აკეთლები ისე დახელოვნებულან ამ საქმეში, რომ არა მგონია ევროპამ ან სხვა რომელმამე კუთხემ აჯობოს იმათ. ჩემი კორესპონდენტი მწერს: „Spectator-ო, გთხოვ შენ(?) გაზეთში ადგილი დაუთმო ამ წერილს, თორემ აგრემც მოგიკვდეს მტერი, როგორც ჩვენ გადაგვკიდა ამდენმა ნატარიის ხელის მოწერამ. ბატონო, აღარა ვართ ცოცხლები, აღარა! ბრუნდია თუ მართალი, ყველა ნატარიას მართავს... მე კაცო, კვირე დღე ეკკლესიაზე ვეღარ გავსულვართ შიშით, ვაი თუ ვინმემ ნატარია გამოიტანოსო!“

აკეთს გვერდში სამტრედია თუ ამოუდგება. იქაც ძალიან ყოფილა ეს „ნატარია“ გავრცელებული. დღე არ გავა ისე, რომ არ გაიგოთ, ამას და ამ ადგილას ლატარია არისო, მწერს კორესპონდენტი. ლატარია მაგრე რიგად არ აფიქრიანებს სამტრედიელებს. საქმე „ბუფეტია“, რომელსაც ლატარიის დროს მართავენ: აი ამ ბუფეტებში სხედან თურმე კოპწია ქალები და სტუმრებს ჯიბეებს უცალიერებენ...

სულ სხვა საქმე აურჩევიათ სამოქმედოდ გუბელებს. სოფელ გუბში ყველაზე მეტი პატივი ბანქოს თამაშს დაუმსახურებია. სხედან თურმე გუბელები დილიდან საღამომდე და საღამოდან დილამდე და ბანქოს თამაშს შექცევიან. ამნაირი შემთხვევაც იყო გუბში: ამას წინად ახალგაზდა ყმაწვილებს სიმინდი მიჰქონდათ თურმე წისქვილში დასაფქვავად. შუა გზაში დამსხდარან და ბანქო გაუჩაღებიათ; საქმე იქამდე მისულა, რომ სამ თუ ორ ყმაწვილს ფქვილიც გაუყიდნია იქვე დუქანში. როდესაც ტარიელ-ტარიელნი შინ დაბრუნებულან, რაღა თქმა უნდა, თვალებს არ დაუკოცნიდნენ. ამ საქმის გამო მთელი სოფელი შეინძრა. სოფლის სასამართლოს დაუდგენია: ვინც ბანქოს ითამაშებს, იმას გადახდეს 5 მ.-დან 25 მანეთამდე. ეხლა გუბელები აშკარად აღარ თამაშობენ ბანქოს, მაგრამ ჩუმად კი უწინდელებრ აგებენ ქუდებს, შალვრებს და სხვა ნივთებს.

მაგრამ აკეთსაც, გუბსაცა და სამტრედიასაც ოზურგეთმა გადააჭარბა. გურიის ამ პატარა დედა-ქალაქში ცხოვრება მეტად „გასაზოგადოებრივდა“ და გართულდა. ოზურგეთლებმა საზოგადო საქმედ გადააქციეს სხვის ოჯახის საიდუმლოების გაგება, სხვის გულში ჩახედვა და მეზობლის სასაცილოდ აგდება. „სწორედ რომ შეუძლებელი შეიქმნა აქ ცხოვრება, მწერს კორესპონდენტი: კარგად ჩაიცვამ და დაიხურავ—დაქცეიაო; ქუჩაში ქალთან გაივლი—გაულანძღავი ვერ გადარჩები ვერც შენ და ვერც შენთან მოსეირნე; მორცხვი ხარ—ამბობენ, ეს ქვეყნის დამაქცევარი იქმნებაო“ და სხვა-და-სხვა. ყველა ამათ ოზურგეთელი პოეტები ლექსებს უდგენენ თურმე. გაიხედავ ერთ მშვენიერ დილას და მაღაზიების კედლებსა და ჭიშკრებზე უშველებელ ქაღალდებს დაინახავ, ლექსით ან პროზით აჭრელებულს; ამკობენ მშვენივრად კაცებსაც და ქალებსაც...

ჩემის აზრით, დიდი დანაშაული ამ საქმეში გაზეთების რედაქციებს მიუძღვით ბატონო, ერთ ლექსს ვეღარ შეჰხვდებით გაზეთებში, ჩვენი პოეტები კი ეხლა უფრო არიან წერის ჟინზე, ვიდრე წინად იყვნენ. კარგია კიდევ, რომ ოზურგეთელმა პოეტებმა ჩვენის ქვეყნის სხვა პოეტებს უჩვენეს გზა თავიანთ ძვირფას ნაწარმოების გასაღებისა.

Spectator

კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში

(დასასრული *)

თავ. ს. ვახვახიშვილი. დადგა თუ არა ჩვენში დრო იმ კოოპერატიულ დაწესებულებათა შექმნის საჭიროებისა, რომლის შესახებაც ბ-ნი ჟურული ბრძანებს? ნიადაგი ასეთ ამხანაგობათა დაარსებისა უკვე შემზადდა ჩვენში; ეს ამხანაგობანი ბევრად უფრო ასარგებლებენ საშუალო შეძლებისას, ვიდრე წვრილ მეურნეებს. აზრი კოოპერატიულ ამხანაგობათა დაარსებისა ის არის, რომ მწარმოებელმა და მხმარებელმა პირდაპირ იქონიონ საქმე და თავიდან მოიშორონ შუამავალ-ჩარჩები. ჩარჩ-ვაჭრები ყველაფერზე ფასს უკლებენ, თუმცა გაყიდვის დროს ერთი-ორად მეტს იღებენ. ვინც სოფლის ცხოვრებას თვალ-ყურს ადევნებს, ეცოდინება როგორ დაბალ ფასად იყიდება მატყლი, თამბაქო და სხვა, მაშინ, როდესაც ჩვენ მამიხისხლად ვყიდულობთ ამ საქონლისაგან დამზადებულ ნაწარმოებს. აი ამ არა სასიამოვნო მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლა არის საჭირო. ზოგიერთებმა სთქვეს აქ, რომ კოოპერატიული ამხანაგობანი ნაკლებ სარგებლობას მოუტანს მეურნესაო. ეს აზრი შემცდარია. ამის დასამტკიცებლად ისიცა კმარა მოვიხსენიოთ, თუ რა დიდი სარგებლობა მოუტანა ევროპას ასეთმა ამხანაგობებმა. ნიადაგი კოოპერატიისათვის უკვე არის, საჭიროა მხოლოდ შეიცვალოს ცხოვრების პირობები ისე, რომ ამხანაგობათა გამრავლება შესაძლებელი იყოს. არც ცოდნა გვაქვს კოოპერატიულ ამხანაგობათა გასამტკიცებლად და ამასაც ყურადღება უნდა მიექცეს. მეურნე, რომელიც გუშინ მიწას მუშაობდა, კისრულობს ისეთის საზოგადოების წევრობას, რომელმაც უნდა იცოდეს ზედ-მიწევნით ბაზარი, მოთხოვნილება, საზოგადოდ ესმოდეს ვაჭრობა და ყოველივე ეს განა იცის ჩვენებურ ამხანაგობის წევრმა? რა თქმა უნდა, ასეთ ვაჭრობაში შეუგნებელ წევრთაგან შემდგარი ამხანაგობა ვერ გაუმკლავდება ვაჭარს. ამასვე უნდა დაუმატოთ ისიც, რომ რკინის გზა, გაუმჯობესებული მანქანები და სხვა იარაღი მრეწველს უწევენ მხოლოდ სამსახურს. მეურნეზე არავინ ზრუნავს. ამას გარდა, ამხანაგობების საქმეების გამგეებს დაკვირვებული და საქმეში ჩახედული კონტროლი არა ჰყავთ. წევრნი, თავიანთ საქმეში გართულნი, ყურადღებას არ აქცევენ საზოგადო საქმეს. როცა საჭიროა დახმარება, რჩევა ან დარიგება, მაშინ არავინ არა სჩანს და თავს მაშინ წამოჰყოფენ ხოლმე, როცა საქმე იშლება. ყველა ამის გამო არის კიდევ ერთი მიზეზი კოოპერატიულ ამხანაგობათა არა ნაყოფიერ მოქმედებისა. სოფლად მეთაური კაცები არ მოიპოვებიან.

ბოლოს თავ. ვახვახიშვილმა სთქვა, რომ ამ საქმის ხელმძღვანელობა უნდა იკისროს სამეურნეო საზოგადოებამ და ამისათვის საჭირო იქმნება საზოგადოებასთან დაარსებულ იქმნეს განსაკუთრებული კომიტეტი.

ა. სააკოვი არ დაეთანხმა იმ აზრს, რომ კოოპერატიულ ამხანაგობებს დღეს ნიადაგი აქვს ჩვენში. ამის დასამტკიცებლად ის მოსაზრება მოიყვანა, რომ სოფლად საქმის სამეთაუროდ ინტელიგენცია არ არის. შეგნებული ნაწილი სოფელს გაურბის და ქალაქში მიდის, რადგანაც სოფლად არ არის ისეთი დაწესებულება, სადაც ინტელიგენციას შეეძლოს თავის ცოდნა გამოიყენოს. სააკოვმა ამასთანავე აღნიშნა ხალხის საზოგადოდ გაუნათლებლობა და სთქვა, რომ კოოპერატიული ამხანაგობანი მაშინ მოიკიდებენ ფეხს, როცა მთავრობა შემოიღებს საერობო დაწესებულებებისა, რომელნიც შეჰქმნიან ნიადაგს.

ფ. გოგიჩაიშვილმა კარგა ხანს ილაპარაკა. პირველად მოიყვანა ცნობები გერმანიისა და საფრანგეთის ცხოვრების შესახებ, თუ როგორ იცვლება იქ, მეცნიერთა გამოკვლევით, მიწათ-მფლობელობა. ზოგგან სრულიად ისპობა წვრილ მეურნეთა მფლობელობა და ადგილს უთმობს მსხვილს, ზოგგან კი იშლება მსხვილი მიწათ-მფლობელობა. დღეს ჩვენში ძნელია იმის თქმა, როგორის ტიპის კოოპერატიული ამხანაგობანი იხსნიან წვრილ მეურნეს დღევანდელის გაჭირვებიდან. დღევანდელ პირობებში შესაძლებელია თუ არა ისეთ ამხანაგობათა არსებობა, როგორსაც ბ-ნი ჟურული იხსენიებს? მე პირველად იმ აზრისა ვარ, რომ სოფლად ნიადაგი მოუმზადებელია და ასეთი ამხანაგობანი საფუძვლიანად ვერ იმოქმედებენ. ამისი მიზეზი ხალხის გაუნათლებლობაა. სოფლად ისეთი დაუჯერებელი ამბები ხდება ხალხის გაუნათლებლობისა გამო, რომ ადამიანი გაოცდება. მაგ., სოფელში გარდასახადებს ჰკრეფავენ და გლეხს იმდენი მიხვედრა არ აქვს, რომ ბარათი გამოართვას ფულის წამღებს. ხშირად ამის გამო ორჯერ ართმევენ ფულს. ასეთ პირობებში როგორ შეიძლება ამხანაგობამ იხეიროს? გერმანიაში გლეხი გაზეთს კითხულობს, ბირჟას თვალ-ყურს ადევნებს, ბაზრის მოთხოვნილება იცის და, რა თქმა უნდა, აქ შესაძლებელია ამხანაგობის მტკიცე საფუძველზე დადგომა. ჩვენში არ არის შრომის განაწილება. გლეხი ყველაფერს ეტანება და ყველაფერი ნაკლებად მოჰყავს. არ არის მოქალაქობრივად გლეხი კარგს პირობებში. სოფელში გლეხს ბევრი ლაპარაკის ნებაც არ აქვს; უბრძანებენ და უნდა უთქმელად აასრულოს. გლეხს ისიც-კი არ ესმის, რომ იგიც ადამიანი და თა-

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1984.

ვისუფალი არსებაა. აქვე უნდა დავასახელოთ სოფლად ინიციატივის უქონლობა და მიწათ-მფლობელობის მოუწესრიგებლობა. ამ მხრით უზრუნველ-ყოფილი უნდა იყოს მეურნე; ყოველს შემთხვევაში შეიძლება ჩვენში ამხანაგობებმა კარგი ნაყოფი გამოიღონ. ისეთი დაწესებულება, მაგალითად, რომელიც ხალხს კრედიტს მოუპოვებს, დიდად სასარგებლო იქნება, რადგანაც დღეს ჩარჩი 80% და 100% მეტს აძლევინებს ხალხს. ჩემის აზრით, კარგი იქნებოდა, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებასთან დაარსდებოდეს ისეთი ორგანო, რომელსაც ასეთ ამხანაგობათა დაარსება და ხელმძღვანელობით უნდა იკისროს.

მომხსენებელმა, ბ-ნმა გ. დ. ჟურულმა, თითქმის ნახევარი საათი ილაპარაკა—პასუხი ოპონენტებს. სხვათა შორის, სთქვა, რაც უფრო უძლური იქმნება წვრილი მეურნე, მით უფრო საჭიროა ამხანაგობათა დაარსებაო.

კამათმა ნაშუადღევის 2 საათამდე გასტანა. დასასრულ კრებამ გადასწყვიტა: 1) აღიძრას შუამდგომლობა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წინაშე ისეთის ბიუროს დასაარსებლად, რომელმაც კოოპერაციის საქმე უნდა იკისროს; 2) ეთხოვოს უმაღლეს მთავრობას დაარსებულ იქნას კავკასიაში ერთი მთავარი საკრედიტო დაწესებულება და 3) ეთხოვოს მთავრობას გამარტივებულ იქმნეს ის კანონდებულება და წესები, რომელიც კოოპერატიულ ამხანაგობათა დაარსებას შეეხება.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 ნოემბერი

ტომსკი. იურიდიულ საზოგადოების თავმჯდომარე, პროფესორი კლიმენტოვი გარდაიცვალა.

ცარსკოე-სელო. მათი იმპერატორებითი უმაღლესობანი, დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე და დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული სამზღვარ გარედ წავიდნენ.

მოსკოვი. საბჭომ დაამტკიცა პროექტი ქუჩებში ელექტრონის გზების გაკეთებისა და ამისათვის გადასდო 39 ათასი თუმანი.

პარიჟი. საფრანგეთის პრესსა შორეულ აღმოსავლეთის მხარეში რუსეთის მხრით განმანათლებელ მოღვაწეობაზე ლაპარაკობს. „ჟურნ. დე დება“ ამბობს, რომ ნივთიერსა და პრაქტიკულ წარმატებას რუსეთის მოღვაწეობისას შორეულ აღმოსავლეთში, ინგლისელ აგენტების ზოგიერთთა შურის მიუხედავად, გამარჯვება მოჰყვება. საქმიანი უცხოელები გრძნობენ, რომ ქალაქი დალნი პირველი ხარისხის ნავთ-სადგურია. ის დიდი მუშაობა, რომელიც რუსეთის მთავრობამ ნავთ-სადგურში დაიწყო, იმას მოასწავებელია, რომ დალნის მომავალში უპირველესი მნიშვნელობა ექნება ვაჭრობისათვის. იმედია, რომ დალნი ერთ საუკეთესო ნავთ-სადგურად შეიქმნება-წყნარ ოკეანოში. ინგლისის გაზეთები ხმებს ავრცელებენ, ვითომც ნავთ-სადგურისა და ქალაქის მმართველობა სამხედრო მთავრობის ხელში იქმნებაო. „ჟურნალ დე დება“ ამბობს, რომ დალნი სწორედ სავაჭრო ნავთ-სადგურად დარჩება, სამხედრო ნავთ-სადგურად-კი პორტ-არტური იქმნებაო.

ვარშავა. გაზ. „ვარშავსკი დნევნიკ“-ში გამოცხადებულია: მარიინსკი თავშესაფარისათვის საკუთარის სახლის კურთხევის ამბავი პოლონეთის მხრის უფროსმა დეპეშით მოახსენა ხელმწიფე იმპერატორს, რომელმაც ღირსად ჰყო შემდეგის პასუხისა: „გენერალ-ადიუტანტს ჩერტკოვს. მარიინსკის თავ-შესაფარისათვის სახლის დამთავრებისა და ამ სახლთან ეკლესიის კურთხევის ამბავმა გულწრფელად გამახარა. ვუსურვებ თავ-შესაფარს მომავალში სრულს წარმატებას. ნიკოლოოზი“.

პეტერბურგი. გლებ უსპენსკის თხზულებათა გამოცემის უფლება შეიძინა კიევის ფირმამ ფუკსმა.

ოდესა. ნოვოროსიის უნივერსიტეტში ცეცხლი გაჩნდა. ერთ დარბაზში დარაჯის ჟიტკოვის გვამი ჰპოვეს ჩამოკიდებული; ჟიტკოვი ლოთობის გამო სამსახურიდან გადაყენებული იყო. ჰპოვეს ნიშნები, რომ ცეცხლი განგებ გაუჩენიათ. რამდენიმე დარბაზი დაიწვა. დაიწვა აგრეთვე ძვირფასი კოლექციები.

ლონდონი. კონსერვატორთა უმრავლესობამ იმის შიში გამოაცხადა, რა მოხდება, რუსეთის შაქარს რომ დამატებითი ბაჟი დაადონ. ჩემბერლენმა მიუგო, რომ ჩვენი საფინანსო წესები ჩვენის საკუთარის გეგმით უნდა შესრულდეს და სრულებით იმას არ უნდა მივაქციოთ ყურადღება, რას იფიქრებენ უცხო სახელმწიფოები. რუსეთიდან გამოზიდული შაქარი ძლიერ ცოტა ნაწილს შეადგენს ინგლისში შემოტანილისას. საფრანგეთმა თუ ქიშპობა დაიწყო—წააგებს. გერმანიისა და ავსტრიის შეეძლოთ მონოპოლიის მიღება, შაქრის პრემია რომ ძალაში დარჩენილიყო.

პარიჟი. სენატში შეეკითხნენ მთავრობას საფრანგეთის მხედრობაში სიკვდილის შესახებ. სამხედრო მინისტრმა ანდრემ აუხსნა, რომ ძლიერ გავრცელებულია ჭლექიო. ნაბრძანებია, სუსტი ჯარის-კაცები თავ-თავიანთ სახლში გაეგზავნონ და სხვა საჭირო საშუალებანიცაა ნახმარიო.

14 ნოემბერი

ბერლინი. რეიხსტაგმა გადასწყვიტა, მთავრობის პროექტის თანახმად, ვადა სატამოჟნო ტარიფის ასრულებისათვის დაინიშნება იმპერატორის ბრძანებით. შპანმა გამოაცხა, კათოლიკეთა პარტია უარ-ჰყოფს კომისიის დადგენილებას, რომლის თანახმად ეს კანონი 1906 წლის 1 იანვარზე ადრე არ შევა ძალაში. ნაციონალ-ლიბერალებმა წინადადება მისცეს რეიხსტაგს მთავრობის დადგენილებას დაეთანხმეთო; რეიხსტაგმაც 196 ხმის უმეტესობით 76 წინააღმდეგ მიიღო ეს წინადადება.

ლონდონი. მეფე ედუარდმა ჩილისა და არგენტინას დავა საზღვრის თაობაზე ამნაირად გადასწყვიტა: სადავო ადგილების ერთს ნაწილს ჩილი მიიღებს, მეორეს არგენტინა.

პეკინი. ევროპიელი რაზმების უფროსებმა ჯარის-კაცებს სამსახურს გარეშე სასროლის იარაღის ტარება აუკრძალეს.

კონსტანტინოპოლი. გერმანიის იმპერატორმა ხონთქარს დეპეშით მადლობა გამოუცხადა გერმანიის გემის მიღებისათვის.

კარაკასი. კასტრომ გამოაცხადა, ვიქტორიას ახლო აჯანყებულნი საშინლად დამარცხდნენო; 1903 წლის 1 იანვარს ოფიციალურად ზავს გამოვაცხადებთ. უთანხმოება ვენეცუელასა და ევროპის სახელმწიფოებს შუა შეიძლება მორიგებით გათავდეს, თუ რომ სახელმწიფოები ვენეცუელასავით მეგობრულ ურთიერთობის დამყარებას მოინდომებენ. კასტრომ სთქვა ბოლოს, მედგარს წინააღმდეგობას გაუწევ ყველას, ვინც ვენეცუელის სუვერენიტეტის დარღვევასა ან მის ადგილებში შესვლას მოინდომებსო.

პორტლანდი. რუსეთის ესკადრა შტაკელბერგის უფროსობით ბანგკოკში მივიდა. აჯანყება ჩრდილოეთ სიამში დათრგუნეს.

კონსტანტინოპოლი. ბოლგარიის მოსაზღვრე ოლქებიდან ამბავი მოვიდა, ოსმალები ბოლგარების სოფლებში იარაღს ეძებენ და ძალმომრეობით ექცევიან ხალხსაო. ბევრი გლეხკაცი ბოლგარიაში გაიქცაო. მიღებულ ცნობების თანახმად, პოლპოლკოვნიკი იანქოვი თავის რაზმის ნაწილით საბერძნეთის სამფლობელოში გადვიდაო.

ესსენი. კრუპის დასაფლავება იმპერატორის თანადასწრებით მოხდა.

მოსკოვი. პრესის საიუბილეო კომიტეტმა დაადგინა იუბილეის დღეს გამართოს კონცერტი საპენსიო სალიტერატურო ფონდის სასარგებლოდ და წარმოდგენა დადგას ასოთ-ამწყობთა სასარგებლოდ. ამ დღეს გაზეთები არ გამოვა. მოსკოვში საიუბილეო კომიტეტისა, რუსეთის სიტყვიერების მოყვარეთა საზოგადოებისა და ბიბლიოგრაფიულ საზოგადოების სხდომა მოხდება; ასოთ-ამწყობებისათვის სადილი გაიმართება.

ესსენი. იმპერატორმა კრუპის დასაფლავების დროს სიტყვა წარმოსთქვა, გარდაცვალებული თანაგრძნობით მოიხსენია და მკაცრად დაჰგმო ცილის მწამებელნი.

პეტერბურგი. „რუსკი ინვალიდ“-ი იუწყება, გენერალი გრიპენბერგი ვილნოს სამხედრო ოლქის ჯარების უფროსად ინიშნება.

რედაქტორ-გამომცემელი ლ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 12 ნოემბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,85
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,70
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97⅛ გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	99⅝ „
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	100 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა	94½ „
0/10 -ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	482½ გაყიდ.
5% ელ რე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	373¾ „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ მამ. ბანკისა	298 „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	88½ „
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	89⅞ „
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	194 „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 5. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.)! 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს 28 წ.).

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამა წლის 19 ნოემბერს, ნაშუადღევის პირველ საათზე, გამგეობის სადგომში **მოხდება საჯარო ვაჭრობა,** რომელზედაც ექვსის წლით იჯარით გაიცემა ქალაქის მიწა პირველ საპოლიციო ნაწილზე, სატივოზე.

პირობების გასინჯვა შეიძლება ქალაქის გამგეობის მე-4 განყოფილების კანცელარიაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9-დან ნაშუადღევის 3 საათამდე. (2—1)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—52)

ქ. ქუთაისში

მიხეილის ქუჩაზე გოგილოვის შეხობაში

ტარიელ დიმიტრის ძე

გაბუნიას და ამხანაგობას

აქვს გახსნილი საწყობი, სადაც იყიდება ყოველნაირი დაწმენდილი არაყეულობა, სპირტი და სასმელები ზომიერ ფასებში. საქონელი მოწონებულია ტფილისის გამოფენაზე და დაჯილდოვებულია. მყიდველებს შეუძლიათ მიმართონ ზემოხსენებული ადრესით. (15—11)

ზის

ნახშირის საწყობი

იაგორ მამინაიშვილისა

(საკუთარი ტყიდან)

გრის მოედანზე, ვაფანთან

ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი.**

შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.).

ტელეფონი № 754. (წ.).

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის«

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პროტოსი	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
ადა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. ვ. პეტრიაშვილის	1	50
რძე. მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა.	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

პროვინციელთ შეუძლიათ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიათ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ესევე წიგნები იყიდება **ქუთაისში,** ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

ცინკოგრაფია

ტფილის. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

განკის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ნატურელი თმის საღებავი გოლენდერისა.

ეს საღებავი უვნებელია და მკვიდრი. შეიძლება თმის იმგვარად შეღებვა, რა ფერისაც ბუნებითაა: შავად, წაბლის ფერად და სხვ. **საღებავი ნატურელი** არ მოქმედებს ცუდად თმაზე. კოლოფი ჰღირს 1 მან. 50 კაპ., გაგზავნით 2 მან. იყიდება ყველა აფთიაქსა და საპარფიუმერო მაღაზიაში: სავაჭრო სახლი „საპარფიუმერო ლაბორატორია ი. გოლლენდერ“, პეტერბურგი, რაზიეზჟაია, 13.

განცხადება დაბეჭდილა „პრავიტ. ვესტნ.“-ში № 216, 4 ოქტომბერს 1902 წ. (5—5)

Дозв. ценз. Тифлисъ, 14 Ноября, 1902 г.

ელექტრონის. სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).